საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№7 **27 თებერვალი 2023 წელი**

ა(ა)იპ ,,სენაკის სათემო განათლების ცენტრი"-სათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ს/კ 44.01.37.034 უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის შესახებ

მუნიციპალიტეტის მერიას წერილით (№10/402236065-08) მომართა ა(ა)იპ ,,სენაკის სათემო განათლების ცენტრმა", რომელიც ითხოვს - ქ. სენაკში, სამხედრო დასახლება №3-ში მდებარე სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას ს/კ 44.01.37.034 დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის სასწავლო-პროფესიული პროგრამების, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების, სამოქალაქო და პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით. მუნიციპალიტეტსა და სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალ - dvv international - თბილისის პროექტთა ბიუროს შორის 2009 წლის 24 სექტემბერს დადებული მემორანდუმისა და 2010 წლის 4 იანვრის სასყიდლიანი აღნაგობის №13 ხელშეკრულების თანახმად, ბიუროს მიერ ა(ა)იპ ,,სათემო განათლების ცენტრის" განსათავსებლად დევნილებით კომპაქტურად ჩასახლებულ ტერიტორიაზე აშენდა ზემოაღნიშნული შენობა-ნაგებობა, რომელიც შემდგომ მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადმოეცა საკუთრებაში. 2010 წლიდან დღემდე მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 16000-ზე მეტმა მოქალაქემ და ამ ეტაპზე ხორციელდება გერმანიის მთავრობის, გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის სამინისტროს, ამერიკის საელჩოს და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი და დევნილი თემის გაძლიერებისაკენ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის, ა(ა)იპ ,,სენაკის სათემო განათლების ცენტრის" (№10/402236065-08) წერილის და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის 14 02.23წ. №40-402304564 მომართვის შესაბამისად

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას (ს/ნ 239889705) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, 2 წლის ვადით ა(ა)იპ ,,სენაკის სათემო განათლების ცენტრს" (ს/ნ 442728176) გადასცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული - ქ. სენაკში, სამხედრო დასახლება №3-ში მდებარე უძრავი ქონება საკადასტრო კოდით 44.01.37.034.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია